

დამლაშება - ნიადაგების დეგრადაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი

(ქვ. ქართლის მაგალითზე)

ი. კალანდაძე¹, ე. მღებრიშვილი², ბ. კალანდაძე¹

ელ-ფოსტა: besik. kalandadze@tsu.ge

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, თბილისი, საქართველო
²აგრორული უნივერსიტეტი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, თბილისი, საქართველო

ჩვენი ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, ეს კი შესაძლებელია დღემდე აუთვისებული დაბალნაყოფიერი ნიადაგების გაკულტურებითა და ინტენსიური მელიორაციულ-ბიოლოგიური მეთოდებით.

ქვემო ქართლის ნიადაგებისთვის ყოველთვის პრობლემური იყო დამლაშება, რადგანაც აქ გავრცელებული ნიადაგები და დედა ქანი ბუნებრივად შეიცავს სხვადასხვა ადვილადხსნად მარილებს, მაგრამ ინტენსიურ დამლაშებას ხელი გარკვეულწილად შეუწყობს არასწორმა ანთროპოგენურმა საქმიანობამ. კერძოდ, მოსახლეობის მიერ ნიადაგების არასწორმა მორწყვითმა მელიორაციამ. ნიადაგების არასწორმა ექსპლოატაციამ, არანორმირებულმა მორწყვამ კი გამოიწვია ნიადაგების მეორადი დამლაშების პრობლემა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკვლევ რეგიონში არსებული ნიადაგების ფართობის აბსოლუტური უმეტესობა სახნავია. დღესაც კი ეს ფართობები არ მუშავდება, მოსახლეობა არ ხნავს უკვე რამოდენიმე წელია და ძირითადად ამ ფართობებს სათიბ-საძოვრებად იყენებენ. აღნიშნული კი ხელს უწყობს ნიადაგების გაყამირებას, ხდება ნიადაგების დაჯდომა, მცირდება ფორიანობა, ნიადაგის ტენიანობა და ა. შ. ასევე ხშირად ხდება ამ ტერიტორიების არასწორი მორწყვა, რაც საბოლოოდ იწვევს ნიადაგების მეორად დამლაშებას.

ნიადაგების ტენტევადობის ნაკლებობა კი თავის მხრივ იწვევს ნიადაგების სხვადასხვა პარამეტრების ბუნებრივად შეცვლას.

საკვლევ ნიადაგები თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით წარმოადგენენ მდელოს რუხ-ყავისფერ სუსტად და საშუალოდ ბიცობიან ნიადაგებს, ადვილად ხსნადი მარილების შემცველობის მიხედვით ეს ნიადაგები მლაშობიანია. დამლაშების ტიპი ბაზილევჩის კლასიფიკაციის მიხედვით ქლორიდულ-სულფატურია, ხოლო დამლაშების ხარისხი კოვდას კლასიფიკაციით სუსტად დამლაშებულია ნიადაგის 25-90 სმ ფენა.

გარდა ამისა ეს ნიადაგები საჭიროებს სპეციალურ აგრომელიორაციულ ღონისძიების ჩატარებას ანუ ე. წ. ჩარეცხვებს. აღნიშნული ნიადაგები შეიცავენ ნატრიუმის და მაგნიუმის საკმაო რაოდენობას რაც მის საშუალოდ ბიცობიანობაზე მიუთითებს და ამის გამოსასწორებლად აუცილებელია მოთაბაშირება ან აგრობიოლოგიური მეთოდით მისი ნაყოფიერების ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგების დამლაშება, ნიადაგების დეგრადაცია, ტენტევადობა